ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲗᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 67 (19509) ◆ ᲙᲕᲘᲠᲐ, 16 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.


## „ᲕᲔᲜᲐ-1“ ᲓᲐ „ᲕᲔᲜᲐ-2“ ᲡᲐᲠᲙᲚᲐᲜᲔᲢᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ** პროგრამის შესაბამისად „ვენა-2“ საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა მას შემდეგ, რაც ახლო ჩაუფრინა ჰალეის კომეტის ბირთვს, 10 და 11 მარტს განაგრძო ამ ციური სხეულის კვლევა. კავშირგაბმულობის სეანსების დროს მიმდინარეობდა კომეტის სატელევიზიო გადაღება 7 და 14 მილიონი კილომეტრი მანძილიდან, დედამიწაზე გადმოიცემოდა სამეცნიერო ინფორმაცია საპლანეტთშორისო სივრცეში პლაზმური პროცესებისა და ელექტრომაგნიტური მოვლენების შესახებ.

11 მარტს დამთავრდა მუშაობა „ლოცმან“ საერთაშორისო პროექტით, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ევროპის კოსმოსური სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზაციები. ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში დედამიწის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული რადიოტელესკოპების მეშვეობით ფიქსირდებოდა „ვენა-1“ და „ვენა-2“ სადგურების ადგილმდებარეობა, ხოლო სადგურებიდან მიღებული სატელევიზიო გამოსახულებებით ოპერატიულად ზუსტდებოდა კომეტის მოძრაობის ტრაექტორია. კოსმოსური და დედამიწისზედა გაზომვების მონაცემების ერთობლივი გამოყენება იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ რამდენიმე თვეულჯერ გაიზარდოს ჰალეის კომეტის მდგომარეობის განსაზღვრის სიზუსტე და რომ „ჯოტო“ ევროპულმა აპარატმა, რომელიც მას უახლოვდება, ჩაუაროს კომეტის ბირთვს დაახლოებით 500 კილომეტრ მანძილზე 80 კილომეტრი საშუალო შეცდომით.

6 და 9 მარტს ჰალეის კომეტის ბირთვისაგან „ვენა-1“ და „ვენა-2“ სადგურების ავტომატური დამოუკიდებლად ფიქსირების დროს მიღებულ სატელევიზიო გამოსახულებათა ანალიზმა აჩვენა, რომ ბირთვი უსწორო ფორმისა [illegible] ფორმა. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც „ვენა-2“ გაიარა კომეტის გაზმტვრის გარსი, მისმა ზოგიერთმა სასამსახურო სისტემამ და სამეცნიერო ხელსაწყომ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმნიშვნელო დაზიანება მიიღო კომეტური ნივთიერების ზესწრაფი ნაწილაკებისაგან. მაგრამ სადგურებზე არსებულმა დაცვის საშუალებებმა შესაძლებელი გახადა კოსმოსური აპარატების შრომისუნარიანობის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომელიც საკმარისია საპლანეტთშორისო სივრცის კვლევისა და ტრაექტორიის გაზომვებისათვის. (ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

„ᲕᲔᲜᲐ-2“ სადგურების ავტომატური დამოუკიდებელი ფიქსირების დროს მიღებულ სატელევიზიო გამოსახულებათა წარსაწარმოებლად ანალიზმა ცხადყო, რომ ბირთვი უსწორო ფორმისა [illegible] ფორმა. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც „ვენა-2“ გაიარა კომეტის გაზმტვრის გარსი, მისმა ზოგიერთმა სასამსახურო სისტემამ და სამეცნიერო ხელსაწყომ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმნიშვნელო დაზიანება მიიღო კომეტური ნივთიერების ზესწრაფი ნაწილაკებისაგან. მაგრამ სადგურებზე არსებულმა დაცვის საშუალებებმა შესაძლებელი გახადა კოსმოსური აპარატების შრომისუნარიანობის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომელიც საკმარისია საპლანეტთშორისო სივრცის კვლევისა და ტრაექტორიის გაზომვებისათვის. (ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

ᲖᲔᲗᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲫᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

## ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲨᲘ



### ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲐ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ოკეანე, რომლის ფარეთობი დედამიწის ზედაპირის სამოცდაათ პროცენტს აღმატება, მეცნიერთა მუდმივი ყურადღების ობიექტია, ოკეანე ხომ უზარმაზარ ხასურსათო, ენერგეტიკულ და მინერალურ რესურსებს შეიცავს.

განსაკუთრებით საინტერესოა შორეული აღმოსავლეთის ზღვები, რომლებიც საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთიდან ეკვრის, — იაპონიის, ოხოტის და ბერინგის ზღვები. აი რატომ არის, რომ ავტომატიკისა და მართვის პროცესების ინსტიტუტისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთელი შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრისათვის, განსაკუთრებით აქტუალურია ოკეანის შესწავლასთან და ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები. რეგიონის სხვა აკადემიურ და დარგობრივ ინსტიტუტებთან ერთად ეს ინსტიტუტი ამუშავებს ოკეანოლოგიური კვლევის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

კერძოდ, იკვლევენ კოსმოსური და ჰიდროაკუსტიკური სადგურებიდან ოკეანის დისტანციური შესწავლის პრინციპებს. ამ მუშაობის ფარგლებში მთავრდება პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსის შექმნა გემებიდან და თანამგზავრებიდან ჰიდრომეტეოდაკვირვების მონაცემების ავტომატიზებული შეგროვებისათვის, შენახვისა და დამუშავებისათვის. სამეცნიეროკვლევითს გემზე „აკადემიკოს სერგი კოროლიოვზე“ დადგმულია კომპლექსის ახლი და მიმდინარეობს მისი ექსპლოატაციის საცდელი მუშაობა. პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსის გამოყენება საშუალებას იძლევა გასცენ ინფორმაცია, რომლითაც დაინტერესებული არიან სინოპტიკოსები, მრეწავები და მეცნიერები.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ:** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის ავტომატიკისა და მართვის პროცესების ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრი.



### ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲘ „ᲡᲜᲔᲟᲙᲝᲢ-110“

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲝᲜᲔᲚᲘ ᲣᲨᲕᲔᲑᲔᲜ ᲑᲠᲘᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** № 29 მალაზია „რადიოსაჭონლის“ უფროსი გამყიდველი ნატაშა ზაბაროვა უჩვენებს ბრიანსკის ელექტრომექანიკური ქარხნის ახალ სტერეოფონურ „სნეჟეტ-110“ მაგნეტოფონს.

## ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ „ᲢᲣᲠᲝᲓᲠᲝᲛᲘ“?

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ მახლობლად დაბა პორჩიეში, პირველად ჩვენს ქვეყანაში გაიხსნა სახეწავლო-სავარჯიშო პოლიგონი ტურისტებისათვის — ტუროდრომი. ეს სახელი მას ტურისტებმა შეარქვეს. აქ წელიწადში 20.000 ტურისტს შეუძლია ავარჯიშოს, შეიძინოს საჭირო ჩვევები, ერთმანეთს უჩვენოს სამოყვარულო კინო- და სლაიდფილმები, მოაწყოს სხვა ღონისძიებანი.

ტუროდრომის ადგილი შერჩეულია მოსკოვის დასავლეთით 70 კილომეტრზე რუზის რაიონის წარტაც ადგილას — მდინარე მოსკოვის ნაპირზე. რთული რელიეფი, რომელიც ტერიტორიას აკრავს, სამთო-სათხილამურო ტურიზმის მოყვარულთ საშუალებას აძლევს ვარჯიშისა და შეჯიბრებისათვის. თბილ ამინდებში წყალჯამარდობის მოყვარულნი ავარჯიშებენ მდინარეზე.

პორჩიეის კლუბში გაიმართება ტურისტული სამღერების საღამოები და ნაჩვენები იქნება ფილმები. ტურისტები დანინავდებიან იპარით აღებულ დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ტუროდრომის მახლობლად. დაგეგმილია მოაწყონ კარვების ქალაქი, რომელიც ერთდროულად ათას კაცს მიიღებს.

## „ᲐᲕᲢᲝᲖᲐᲖᲘᲡ“ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ სსრ. ავტომრეწველობა „კომუნარის“ — საწარმოო გაერთიანება „ავტოზაზის“ მეთაური საწარმოს კოლექტივი ამ დღეებში გამოუშვებს „ზაზ-1102“ ავტომობილების საცდელ პარტიას.

ახალ ავტომობილს აქვს მოხდენილი ფორმა, ფართო კომფორტული სალონი, ლამაზად არის გაწყობილი. წამყვანია წინა თვლები, მაქსიმალური სიჩქარეა საათში 140 კილომეტრი. 100 კილომეტრზე ხარჯავს 4,8 ლიტრ საწვავს საათში 90 კილომეტრი სიჩქარის განვითარებისას. გაუმჯობესებულია დინამიკა 50-ცხენიანძალიანი ძრავით, რომელიც აღჭურვილია ხუთსაფეხურიანი გადამცემი კოლოფით. ახალი „ზაპოროჟეცი“ 110 კილოგრამით შემსუბუქდა პოლიმერებისა და ალუმინის შენადნობთა ფართო გამოყენების ხარჯზე. ელექტრონული გამომთვლელი მანქანის დახმარებით შეარჩიეს მცირელატარაჟიანი მანქანის ძარის ყველაზე ოპტიმალური ზომა.

• • •

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** „ზაზ-1102“ „ზაპოროჟეცის“ ახალი მოდელი.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** ტუროდრომის ერთ-ერთი კუთხე.

## ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲕ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

**ᲡᲙᲙᲕ** ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ხელმძღვანელებთან. განიხილეს საბჭოთა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს უპირველესი რიგის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობამ პასუხი გასცა თვით ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხებს, პარტია და ხალხი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალ, გარდამტეხ ეტაპზე შეაიარაღა საპროგრამო დოკუმენტებით, დაჩქარების სტრატეგიით. ყრილობაზე სრული მოწონება პოვა ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გეზმა. დღეს მთავარია არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ აგრეთვე ყოველნაირად განვავითაროთ, იდეებითა და საქმეებით გავამდიდროთ ყრილობის მიერ შექმნილი ატმოსფერო, პრესაში გულახდილად, პირდაპირ ვილაპარაკოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზებზე. რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული საქმე, ინიციატივა, რაც შეიძლება ნაკლები ფუჭსიტყვაობა და აღტაცებული შეძახილები.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უნდა მოვახმაროთ 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულებას. ეკონომიკის სფეროში მთავარი მიმართულებებია სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხების თანამიმდევრული გადაწყვეტა, მეცნიეროულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სამეურნეო ანგარიშის საყოველთაო დანერგვა, პროდუქციისა და მთლიანად მუშაობის მაღალი ხარისხისათვის, რეზერვების სრული გამოყენებისათვის ბრძოლა, შრომის, საწარმოო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება.

მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტისათვის, რედაქციებისათვის გაგზავნილ თავიანთ წერილებში მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია წესრიგის დამყარება, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა.

მომავალი მუშაობის მასშტაბურობა და სიახლე ისეთია, რომ საჭირო გახდება ძირეულად გარდავქმნათ ყველას — რიგითი მუშისა თუ მინისტრის — აზროვნება, გავაუმჯობესოთ მთლიანად მუშაობის სტილი. აქ მთავარი მტერია ბიუროკრატიზმი. და პრესა ნიადაგ უნდა ამათრახებდეს მას. პარტია დარწმუნებულია, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ პრესა ენერგიულად და საფუძვლიანად იმუშავებს ამ მიმართულებით. მთელი მისი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს დაჩქარების იდეას. საჭიროა, რომ გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში სიცოცხლე ჩქეფდეს, რომ თვით მშრომელები თავიანთი ენით ლაპარაკობდნენ იმ ახალზე, რაც ჩვენს სინამდვილეში მკვიდრდება, თავიანთ საჩრუნავსა და საფიქრალზე. პრესას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საიმისოდ, რომ მისცეს ადამიანებს საშუალება გამოავლინონ ნიჭი, წარმოაჩინოს მათი შემოქმედებითი პოტენციალი, აქტიურად დაუჭიროს მხარი მასების ინიციატივას.

ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფასდაუდებელი როლი განეკუთვნება პარტიის სოციალური პროგრამის განხორციელებაში. ეს უბრალო საკითხი როდია — იგი პარტიული, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანიც არის, ეინაიდან იგი უშუალოდ ეხება ადამიანს, მის ცხოვრებას, მის შრომასა და მდგომარეობას საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ პრესა ყოველდღიურად და, მე ვიტყოდი, დაბეჯითებით უნდა უთმობდეს ყურადღებას სოციალურ პრობლემათა მთელ კომპლექსს. ეს თუმა ღირსია იმისა, რომ ყოველდღიურად შუქდებოდეს პრესის ფურცლებზე.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა შევეხოთ. ეს გახლავთ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარება, სოციალისტური ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების ყოველმხრივ სრულყოფა და გაღრმავება. არსებითად სოციალიზმი წარმოუდგენელია, თუ არ არის დემოკრატია, ისევე როგორც ნამდვილი დემოკრატია შეუძლებელია, თუ არ არის სოციალიზმი, და სწორედ ეს განუყოფლობა უნდა წარმოვაჩინოთ მთელი სიგრძე-სიგანით. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა. საეჭვოა, მოიძებნოს სოციალისტური სისტემის ფარგლებს გარეთ ისეთი სახელმწიფო, სადაც პრესის ფურცლებზე, ტელევიზიით და რადიოთი ესოდენ მწვავედ, გულახდილად, გულწრფელად, დაინტერესებით განიხილებოდეს ცხოვრების უმწვავესი პრობლემები. სწორედ ეს არის მოქმედი სოციალისტური დემოკრატია. ყრილობის მიერ შექმნილ ასეთ ატმოსფეროს კვლავაც უნდა ვავითარებდეთ, განვამტკიცებდეთ კონსტრუქციულობის, საქმისადმი კრიტიკული და თვითკრიტიკული დამოკიდებულების სულისკვეთებას, გზიდან ვიშორებდეთ ყოველგვარ თვითდამშვიდებას, წარმატებებით თავის მოტყუებას და ა. შ. ეს ჩვენი გზა არ არის.

და ახლა არ გვაქვს იმაზე უფრო საჭირბოროტო და საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ მისსალ-მისსალ მოვაგროვოთ გამოცდილება, რომელსაც ცხოვრება წარმოშობს, გამოცდილება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემათა გადაჭრას ხმარდება. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული მიზანდასახულობა, კარგად ვიცით, რა ვაკეთოთ და რა მიზნებს მივაღწიოთ. მაგრამ დღეს გვჭირდება პრაქტიკული გამოცდილება მუშაობისა ყოველ უბანზე, იქნება ეს წარმოება, მართვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობა, სამეურნეო მექანიზმი თუ პარტიული საქმიანობა. არ არის და არც შეიძლება იყოს რამე ადამიანის სოციალურ გამოცდილებაზე მდიდარი. ჰოდა ამიტომაც საჭიროა, რომ ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ამ გამოცდილების ნამდვილ ტრიბუნად იქცნენ. ჰოდა ამიტომ უნდა ვეცადოთ იმის მიღწევას, რომ პრესა სწორად, მიზანდასახულად, შეუპოვრად და ყოველმხრივ ისახავდეს ადამიანების შემოქმედებითს ინიციატივას, რომლის მიზანია ჩვენი სტრატეგიული პრობლემებისა და საყოველთაო ამოცანების გადაწყვეტა.

საბჭოთა ადამიანები სულითა და გულით იწონებენ პარტიის მუშაობას ქვეყანაში ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებისათვის, კომუნისტური მორალის ნორმების დამკვიდრებისათვის. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ოჯახისადმი, ბავშვების აღზრდისადმი ყურადღებაზეც. ჩვენი პრესა, ლიტერატურა, ხელოვნება ხელს უნდა უწყობდნენ ოჯახის განმტკიცებას.

მთლიანად ადამიანებისათვის ზრუნვა, სოციალური სფერო წინა პლანზე, წარმოების თანაბარ დონეზე მაინც უნდა იყოს.

ეკონომიკის განვითარების დაჩქარება, ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეიძლება უზრუნველყოს მხოლოდ მთელი ხალხის დაძაბულმა და ხარისხიანმა შრომამ. ჩვენ ძალიან საინტერესო, ძნელ და მკაცრ დროში ვცხოვრობთ. საქმე და კიდევ ერთხელ საქმე— აი დღის მოთხოვნა. უნდა ვიბრძოლოთ, სწორედ რომ უნდა ვიბრძოლოთ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა ყოველი სტრიქონისათვის. მკაცრი, ყოველდღიური კონტროლი გეგმებისა და დავალებების შესრულებისადმი — აი პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

კლასობრივი მოწინააღმდეგენი არაფერს თაკილობენ, რათა დათესონ უნდობლობა ჩვენი გეგმების განხორციელების რეალურობისადმი. ამ ხრიკებს უპირისპირდება ჩვენი შრომა, ჩვენი მძლავრი პოტენციალი, საბჭოთა ხალხის ენთუზიაზმი და პატრიოტიზმი.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, პარტიის კურსი საერთაშორისო საქმეებში, რომელიც XXVII ყრილობამ შეიმუშავა, უმჭიდროესად უკავშირდება საშინაო პოლიტიკას. ისინი ემსახურებიან ერთ მიზანს — სოციალიზმის განმტკიცების ინტერესებს, მშრომელთა ინტერესებს, საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებს. ეს სიმართლე დედამიწის ყველა ადამიანს უნდა გავაცნოთ.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ: გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ვ. გ. აფანასიევი, ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ მთავარი რედაქტორი ნ. მ. გრიბაჩოვი, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ი. დ. ლაპტევი, სსრ კავშირის სახტელერადიოს თავჯდომარე ა. ნ. აქსიონოვი, ახალი ამბების პრესის სააგენტოს გამგეობის თავჯდომარე ვ. მ. ფალინი, საკავშირო რადიოს და ტელევიზიის გენერალური დირექტორი ს. ა. ლოსევი, „ეკონომიჩესკაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი ბ. გ. ვლადიმიროვი, გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ მთავარი რედაქტორი ა. ა. ბარანოვი, ჟურნალ „სოვეტსკაია ენერგეტიკის“ მთავარი რედაქტორი ვ. ი. ფედოტოვა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი. (ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

## Ш. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲚᲔ ᲖᲣᲐᲜᲡ

**14 ᲛᲐᲠᲢᲡ** გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლე ზუანის საუბარი.

ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის, ყველა ვიეტნამელი კომუნისტის სახელით ლე ზუანმა გულითადად მიულოცა მ. ს. გორბაჩოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა და უსურვა დიდი წარმატებანი ამ მაღალ პოსტზე.

ლე ზუანმა დიდად შეაფასა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობა და აღნიშნა, რომ ყრილობაზე მიღებულ დოკუმენტებს უდიდესი შთამაგონებელი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ აგრეთვე მსოფლიოს მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალებისათვის. მან უსურვა საბჭოთა კომუნისტებს, ყველა მშრომელს წარმატებით შეესრულებინოთ ყრილობის მიერ დასახული ამოცანები. სოციალისტური ვიეტნამი მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა პროგრამას, რომლის მიზანია ბრძოლა ბირთვული ჭიმიური იარაღის ლიკვიდაციის, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის, იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიული ხრიკების მოგერიებისათვის.

ლე ზუანმა ილაპარაკა ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობის საბჭადისის შესახებ, რომელიც დასახავს ვიეტნამის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ მიჯნებს.

მ. ს. გორბაჩოვმა მადლობა გადახიხადა სკკპ XXVII ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ საკითხ ეროვნულ-ეროვნული ურთიერთობის საკითხ ეროვნული ურთიერთობის ... ... ...

### ურილობის ტრიბუნიდან კრიტიკის შემდეგ

# ექნება „კოლხეთს“ კეთილი სახელი

## — ამბობენ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშები

**სკკპ XXVII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბელგოროდის ოლქის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დელეგატმა ვ. ი. გორინმა, კერძოდ, თქვა, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ ოლქს შარშან მიაწოდა 50 გაუმართავი მანქანა, რომლებიც უკან დაუბრუნეს...**

— ხუთი მარტის იმ დილით, როცა გაზეთებიდან ყრილობაზე ჩვენი ქარხნის კრიტიკის ამბავი შევიტყვე, თავდაპირველად ყველაფერი ხელიდან მივარდებოდა. თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა...

მართლაც, ქარხნის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი, გამომცდელი მძღოლი ბ. ვაშაკიძე ჯერ კიდევ შარშან ივნისში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გამსვლელ სხდომაზე მუშური გულახდილობითა და პირდაპირობით ლაპარაკობდა. გამოშვებული ავტომანქანების დაბალი ხარისხის თაობაზე. და ჯერ კიდევ მაშინ შეეცადნენ ქარხანაში მიეღოთ ზომები პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

— ბელგოროდიდან რეკლამაცია გასული წლის დაფლეგს მოვიდა, — იგონებს კაზ-608 ვ ავტომანქანების საამწყობო და გამოსაცდელი საამქროს უფროსი ა. ტუკვაძე. — ჩვენი მუშობა რომ გავაანალიზეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ, უწინარეს ყოვლისა, გვღალატობდა საწნეხ-საძარე კორპუსი და შექანი-საამწყობო წარმოება, რომლებისგანაც დეტალებისა და კვანძების ნახევარზე მეტს ვიღებთ. განვახორციელეთ ღონისძიებები ამ საამქროების მუშობის გასაუმჯობესებლად, ზოგიერთი ცვლილება შევიტანეთ მანქანის კონსტრუქციაში. კერძოდ, ჩვენმა სპეციალისტებმა შემოგვთავაზეს გაგვძლიერებინა ჩარჩო და საუნაგირე მოწყობილობის სამაგრი, აგრეთვე უკანა რესორის კრონშტეინების სამაგრი. მაგრამ, ცხადია, მიღებული ზომების შედეგად მთლიანად არ მოხსნილა პრობლემის სიმწვავე. მაღალი ტრიბუნიდან გამოთქმული კრიტიკა ყველამ მტკივნეულად აღიქვა, აიძულა ახლებურად დაეხახათ თავიანთი დამოკიდებულება საქმისადმი.

ამ დღეებში ქარხანაში ხელი მოჰკიდეს წესრიგის დამყარებას უკლებლივ ყველა უბანზე. გაძლიერდა საწნეხ-საძარე საამქროს პროდუქციისადმი კონტროლი. წინათ ამწყობთა საყვედურს განსაკუთრებით ხშირად იწვევდა ამ საამქროს მიერ გამოშვებული ჩარჩოები — და არც არის გასაკვირი: საინსპექციო კონტროლი მოიცავდა მზა ნაწარმის მხოლოდ ხუთ პროცენტს, ამჟამად მთლიანად მოწმდება ყველა ჩარჩო და მათი შემადგენელი დეტალები. აღმოჩენილ დეფექტებს და ხარვეზებს აღმოფხვრიან საამისოდ სპეციალურად შექმნილი მუშათა ჯგუფები.

პირველ შედეგებს იძლევა აგრეთვე ორშაბათიდან, 10 მარტიდან დაწყებული დეტალებისა და კვანძების დამზადების ხარისხისადმი საავტორო ზედამხედველობის ერთთვიანი. კონსტრუქტორები და ტექნოლოგები სამუშაო დღის მეტწილ დროს საამქროებში ატარებენ, რათა არ დაუშვან სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნილებიდან გადახვევა. იმავე საწნეხ-საძარე საამქროში გამოვლინდა, მაგალითად, რომ ზოგიერთ დიდ წნეხს ხანგრძლივი ექსპლოატაციის გამო სიზუსტე დაუკარგავს. მიღებულია მათი შეკეთების სასწრაფო ღონისძიებები. აღმოიფხვრა ან აღმოფხვრის პროცესშია ბევრი სხვა ნაკლიც. საამქროებიდან ინფორმაცია თავს იყრის მთავარ კონვეიერზე მოწყობილ სპეციალურ შტაბში, რომელსაც მიენიჭა უფლებამოსილება დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს ხარისხთან დაკავშირებული ყველა საკითხი. შტაბის განკარგულებით საამწყობო და გამოსაცდელ საამქროში შემოღებულია მზა საწყერების მიღების ორსაფეხურიანი კონტროლი, მათ დამატებით ამოწმებს უშუალოდ საამქროს ტექნიკური კონტროლის ბიუროს უფროსი.

**ᲨᲔᲘᲜᲪ** რატომ მოხდა ჩავარდნა? ქარხანაში ამას შემდეგნაირად ხსნიან (მაგრამ არ ამართლებენ): ბოლო ხუთ წელიწადში აქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა, იქმნებოდა სიძძლავრეები კაზ-4540 ავტომატარებლის საწარმოებლად. სამამულო ავტომშენებლობაში ეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პირველი სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანაა. 11 ტონა ტვირთით ავტომატარებელს შეუძლია ნებისმიერი უგზოობის პირობებში მოძრაობა. ავტომატარებლის გამოსაშვებად სიმძლავრეების შენებლობა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გახლდათ. და როცა გასული წლის შუა ხანებში სერიოზული სიძნელეები შეექმნა კორპუსების მშენებლობასა და მოწყობილობის მონტაჟს, საწარმოს ხელმძღვანელობამ ყურადღება შეანელა ძველი ავტოსაწყვრების გამოშვებისადმი. მომდინარე და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტის შეხამების უუნარობის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილია.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სადღეისოდ ჩავარდნა ორმაგად ჭკუის სასწავლებელია. დაუშვებელია, რომ ამგვარი რამ კიდევ მოხდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ქუთათურები კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. არის იმის საშიშროება, რომ ეს დაღს დაასვამს ახალი ავტომატარებლების ხარისხსაც. კადრების კვალიფიკაციას კი ვერ ავამაღლებთ, თუ მათი დენადობა არ აღმოიფხვრა. მისი შეჩერება შეიძლება მხოლოდ კოლექტივის სოციალური განვითარების ენერგიული ღონისძიებებით. ერთ-ერთი გადაუდებელი საკითხია საცხოვრებელი ბინა. აი პროფკომში მოპოვებული ცნობა: ბინის მიღების რიგში დგას ავტოქარხნელთა 2.600-მდე ოჯახი. საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაგეგმილი ტემპების მიხედვით ყველას დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 16-18 წლის შემდეგ. გვერდით კი არის საწარმოები, სადაც ბინის მიღების ვადა ხუთ წელს არ აღემატება... სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ ეს უნდა გაითვალისწინოს. ახალ სიმძლავრეთა ათვისების კვალობაზე საჭირო გახდება სულ უფრო მეტი მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრი. ამაზე წინასწარ უნდა ვიზრუნოთ.

ამ დღეებში ქარხნის ბევრ მუშას, ინჟინერს, საწარმოს ხელმძღვანელებს ვესაუბრე. ყველანი იმისათვის არიან განწყობილნი, რომ საქმით უპასუხონ კოლეტივის მისამართით გამოთქმულ კრიტიკას.

— გაიზარდა მომთხოვნელობა მუშაობაში. ამას ვგრძნობ, როცა დღეს კონვეიერიდან ჩამოსული ახალი მანქანების საჭესთან ვჯდები, — ამბობს გამომცდელი მძღოლი ბ. ვაშაკიძე, ის, ვინც ჯერ კიდევ შარშან აყენებდა პროდუქციის ხარისხის საკითხს.

— დარწმუნებული ვარ, რომ ექნება „კოლხეთს“ კეთილი სახელი.

**Ო. ჩიხლაძე,**
**(„ტრუდის“ კორ.).**

ქუთაისი.

„ᲢᲠᲣᲓᲘ“, 14, III

---

**საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღესთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნ. ნეფედოვს და მიმართა შეკითხვით:**

# ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ

**საბინაო-კომუნალური მეურნეობა** — ეს ეს სფერო ყველას სჭირდება

**საბინაო-კომუნალური მეურნეობა** — ეს ეს სფერო ყველას სჭირდება

**სკკპ XXVII ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და მათ შორის მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ისიც მოგეხსენებათ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება 1986-1990 წლებში თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.**

**გთხოვთ, გვიპასუხოთ ერთ კითხვაზე: რა წარმატებებია მოპოვებული თქვენს დარგში და რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავთ უახლოეს მომავალში?**

ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების უდიდესი შთაბეჭდილებით აღსავსე საბინაო-კომუნალური დარგის მუშაკები განსაკუთრებული საზეიმო განწყობილებით ვხვდებით დღესასწაულს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. სამინისტროო გასულ ხუთწლედში უკვე მესამედ გამოვიდა გამარჯვებული ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გაღმოგვეცა გარდამავალი წითელი დროშა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დიპლომი.

**ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ** სერვისშიც არის ისეთი სანამუშო საწარმოები, რომლებთან მჭარის გასწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თითოეულ სახელოსნოს, მოდების ატელიეს, სილამაზის სალონს, სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების წინსვლას, მუშაობის სრულყოფას.

ერთ-ერთი ასეთი საწარმოა ქუთაისის საოჯახო ტექნიკის შემკეთებელი ქარხანა — „რემყოფტექნიკა“. მისი კოლექტივი შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამასთან აღნიშნული საწარმოს კოლექტივი დაჯილდოებულია საკავშირო სამახსოვრო ნიშნით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენის მოწინავეთა საპატიო დაფაზე.

ქარხნის დირექტორის მარლენ ჯინჭველაშვილის კაბინეტში შესულისთანავე ყურადღებას იპყრობს კედელი, რომელიც ამ საწარმოს რეგალიებს ეთმობა. აქ

# ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

**წარმატებით შეასრულეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი ფოთის მიდრომექანიზაციის მანქანათაშენებელი ქარხნის მშრომელებმა. საყრილობო ვახტის შრომითი შემართება არ ნელდება. კომუნისტთა საკავშირო ფორუმის გადაწყვეტილებები ფუძემდებელი გახდა კოლექტივის მუშობაში. წარმოების მუშაკებმა დიდი მიჯნები დაისახეს მეთორმეტე ხუთწლედისათვის, რომელიც საწარმოს ცხოვრებაში გარდამტები გახდება.**



**ᲖᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე არგენტი გვათუა და ამწყობი ზეინკალი რაულ ნაჯუბია ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს; ქარხნის საამწყობო საამქროში.**

**ზ. სამსონიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

---

# ᲩᲕᲔᲜ ᲑᲐᲑᲣᲨᲙᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ!

### ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲧᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲝᲚᲥᲨᲘ

**18 მარტს** გმირი მესაზღვრის ბუსტთან საზეიმოდ ჩამწკრივებულ მეომრებს ეუწყებათ, რომ სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დაცვისათვის სამსახურის დროს მიღწეული მაღალი შედეგებისათვის ა. ბაბუშკინს სახელობის საგუშაგო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზით დაჯილდოვდა. ამ დღეს, სამოცი წლის წინათ, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების რთულ პერიოდში წითელარმიელმა ბაბუშკინმა გმირობა ჩაიდინა. და ქვეგანაყოფი, სადაც იგი მსახურობდა, ქვეყნის სასაზღვრო ჯარების პირველი სახელობითი საგუშაგო გახდა.

...ნაცადი ბუდიონოველი წითელარმიელების მონათხრობს როცა უსმენდა, ახალგაზრდა მესაზღვრეს ა. ბაბუშკინს დიდ უსამართლობად მიაჩნდა, რომ მას არ მოუწია წითელი ცხენოსანი ჯარის გრიგალისებურ შეტევებში მონაწილეობა, თვითრგვარდიელების სიმაგრეთა იერიში. ხოლო, როცა ქვეგანაყოფის მეთაურს ჟელეზნოს გაუზიარა თავისი გულისტკივილი, პასუხად გაიგონა, — ნუ გეშინია, საქმე შენც გეყოფა, საზღვარი იგივე წინა ხაზიაო. ცხოვრებამ მალე დაადასტურა ამ სიტყვების სისწორე.

მარტის წვიმიან ღამეს მეწყვილესთან გიორგი შალაევთან ერთად ანდრია ბაბუშკინი მთის მდინარის ნაპირზე იდგა სამზირში. ღილით ორივემ ყური მოჰკრა ხმაურს, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა.

— ჯოგია თუ ადამიანები... — ამბანაგს გადახედა შალაევმა.

— ერთიც და მეორეც, — განსაზღვრა ბაბუშკინმა. — ბანდიტები ნახირს ფონისაკენ მიერეკებიან, საზღვარგარეთ გადასვლა უნდათო. ისი ნაბიჯიდან დავბოცოთ. ერთად!

ბანდიტები არეკი ინიღბებოდნენ, იმდენად იყვნენ დარმწუნებული დაუსჯელობაში. რუხ ბინდუნდში ოდნავ იკვეთებოდა მუქი ფიგურები. მესაზღვრეებმა მათ ცეცხლი შეაგებეს — რამდენიმე საზღვრის დამრღვევი ბალახში ჩაიკეცა.

ატყდა გააფთრებული სროლა. ანდრიას ბანდიტის ტყვია მოხვდა. ამხანაგმა ხანმოკლე შესვენებით ისარგებლა, ჭრილობა შეუხვია და უთანასწორო ჭიდილიც განახლდა.

ბაბუშკინმა ტკივილი დაძლია, კიდევ რამდენჯერმე ისროლა და როცა ხელმეორედ დაიჭრა, მეწყვილეს უბრძანა: „აუმბარები ესროლე! თვითონ კი დაეცა. მას ალარ დაუნახავს ხეობაში დასახმარებლად მომავალი მესაზღვრეების რაზმი...

ერთი თვის შემდეგ, 1926 წლის აპრილში, ამიერკავკასიის საზღვრის ყველა ნაწილსა და ქვეგანაყოფში წაიკითხეს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბრძანება საგუშაგოსათვის — პირველად სასაზღვრო ჯარების ისტორიაში — ანდრია ბაბუშკინის სახელის მინიჭების შესახებ. გმირის საფლავზე, მისი დაღუპვის ადგილის მახლობლად, ობელისკი აღიმართა. და იმ დროიდან საზღვრისპირეთში ვერც ერთ ქალიშვილს, ვერც ერთ ჭაბუკს ვერ ნახავთ, რომ არ წაეკითხოს 20-იანი წლების მეომრის ამბავი, რომელიც ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული ძეგლის გრანიტზე.

მაგრამ ოქროზე უფრო კაშკაშა, გრანიტზე უფრო მტკიცეა ანდრია ბაბუშკინის ხსოვნა, რომელიც საგუშაგოს სასახელო მხედრული საქმეებით ისხამს ხორცს.

...გაისმა სიგნალი საზღვრიდან, და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მან საგუშაგოზე კარგად გამართული მექანიზმი აამოქმედა. სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა პრაპორშჩიკ ა. გუსეინოვის საგანგაშო ჯგუფს, რათა მთლიანად აღეჭურვილი გასულიყო უბანზე, ნაკვალევის და იმის მიხედვით, თუ რა გულდაჯერებით დაადგა კვალს ნაგაზი, ცხადი გახდა: საზღვრის დამრღვევენი შორს ვერ წავიდოდნენ.

განგაში ამჯერად სასწავლო გამოდგა, მაგრამ მეომრები მარჯვედ, საბრძოლო ვითარების შესაბამისად მოქმედებდნენ. სწორედ ამან განაპირობა მათთვის მაღალი შეფასების მიცემა შემაჯამებელ მეცადინეობაზე.

კოლექტივის მიერ სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში ავანგარდული როლი საგუშაგოს კომუნისტებს ეკუთვნით.

სკკპ წევრობის კანდიდატად რიგითი ანდრია ბონდარენკო საზღვარზე მიიღეს. ასეთი ხდომა შემთხვევითი როდია. „ნამდვილი ბაბუშკინელია! — ასე ახასიათებს მას საგუშაგოს უფროსი. ეს კი ქვეგანაყოფში უდიდესი ქებაა. ქვეყნის კომუნისტების ფორუმის წინ ა. ბონდარენკომ საქმით დაამტკიცა ამ სიტყვების სამართლიანობა — მას წილად ხვდა პატივი ხელი მოეწერა საზღვრების კომკავშირის პატაკზე პარტიის ყრილობისადმი.

— ბაბუშკინელის წოდება დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, — ამბობს საგუშაგოს უფროსის მოადგილე, ლეიტენანტი ს. ივანოვი.

მსახურობს რა აქ, სახელმწიფო საგუშაგოზე, თვითონ იგი განუხრელად იცავს თავისი ფრონტელი პაპის დანაბარებს, რომელმაც დიდი სამამულო ომის ცეცხლოვანი გზებით იარა სტალინგრადიდან ბერლინამდე და მოწმე იყო ანდრია ბაბუშკინის გმირობის ტოლფასი გმირობებისა.

რიგითი ვ. ლევჩენკოსათვის კი გმირი მესაზღვრის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია. ლევჩენკო ხომ იმავე სოფლიდან არის, სადაც ბაბუშკინი გაიზარდა. სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დღეებში იგი კომუნისტი გახდა.

ქვეყნის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ პერიოდში ახალი ძალით გამოვლინდა ბაბუშკინელთა დიდი პატრიოტიზმი. სახელმწიფო საზღვრის დაცვისას თავი გამოჩინა ჯგუფმა უმცროსი სერჟანტის მ. კატკოვის, რიგითების ო. ჩიშჩასა და ვ. დერგაჩოვის შემადგენლობით. მესაზღვრეებმა თავი არ შეირცხვინეს საზღვარზე შექმნილ რთულ ვითარებაში.

ბევრი თაობა შეენაცვლა ერთმანეთს სამოც წელიწადში სახელობითს საგუშაგოზე. გმირობის ესტაფეტა ახლა 80-იანი წლების მესაზღვრეებმა გადაიბარეს. და ყოველი მათგანი, წინამორბედთა მსგავსად, განსაკუთრებულად იაზრებს სიტყვებს: „ჩვენ ბაბუშკინელები ვართ!“.

**ა. პროკოპიევი,**
**ვ. გოლოვინი.**

---

**საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფესიული დღესასწაულის დღე დარგის ბევრმა კოლექტივმა ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნა. მაგრამ ადამიანების მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ჯერჯერობით სრულად არ კმაყოფილდება. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ საჭიროა გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელება, რომ აღმოიფხვრას დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის დაკმაყოფილებას შორის.**

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა პროფესიონალური დღესასწაულის დღეს დარგის ბევრმა კოლექტივმა ჩინებული შრომითი მაჩვენებლებით აღნიშნა. მაგრამ ადამიანების მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ჯერჯერობით სრულად არ კმაყოფილდება. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, რომ საჭიროა გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელება, რომ აღმოიფხვრას დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის დაკმაყოფილებას შორის.**

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღესთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნ. ნეფედოვს და მიმართა შეკითხვით:**

**სკკპ XXVII ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და მათ შორის მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ისიც მოგეხსენებათ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს დადგენილება 1986-1990 წლებში თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.**

**გთხოვთ, გვიპასუხოთ ერთ კითხვაზე: რა წარმატებებია მოპოვებული თქვენს დარგში და რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავთ უახლოეს მომავალში?**

ჩვენი პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების უდიდესი შთაბეჭდილებით აღსავსე საბინაო-კომუნალური დარგის მუშაკები განსაკუთრებული საზეიმო განწყობილებით ვხვდებით დღესასწაულს.

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. სამინისტროო გასულ ხუთწლედში უკვე მესამედ გამოვიდა გამარჯვებული ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გაღმოგვეცა გარდამავალი წითელი დროშა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დიპლომი.

# ᲡᲐᲥᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲣᲛᲘᲛᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

**14 მარტს** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხს არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, შვეიცარიისა და საბერძნეთის ლიდერების ერთობლივ წერილზე ბირთვული გამოცდების შეწყვეტის საკითხის გამო.

პრესკონფერენციის გახსნისას გაკეთებულ განცხადებაში ითქვა, რომ სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნების ავტორიტეტიან მოღვაწეთა მიმართვები საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხელმძღვანელობისადმი თანამედროვეობის მწვავე საკითხებზე საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიოში ფართო დიალოგის მოგვარებასა და განვითარებას.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ ექვსი ქვეყნის გავლენიანი ლიდერების საქმიანობას, რომლებიც თავიანთი მეცადინეობით ხელს უწყობენ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ურთიერთმისაღებ მორიგებათა ძიებას საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის.

კორესპონდენტების ყურადღება უწინარეს ყოვლისა მიიპყრეს იმის, რომ პასუხად ექვსი ქვეყნის ხელმძღვანელთა მოწოდებისა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი — არ მოაწყონ არავითარი ბირთვული გამოცდები საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრამდე პერიოდში, საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ არ მოაწყობს ბირთვულ აფეთქებებს 31 მარტის შემდეგაც — პირველ ბირთვულ აფეთქებამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამით საბჭოთა კავშირი კვლავ ცხადყოფს თავის დიდად პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას ბირთვული გამოცდების აკრძალვის პრობლემისადმი. სიტყვა ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაზეა, რომლისადმიც არის უწინარეს ყოვლისა მიმართული მოწოდება, რომ შეუერთდეს მორატორიუმს.

# ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ

### ᲐᲜᲣ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ** მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა მარშან სახელმწიფოს მიჰყიდა 3.848 ტონა ხორცი, 101 ტონა ძეხვეული, მილონ ცალზე მეტი კვერცხი; ხორცის წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 900 ტონით, სახელმწიფოსათვის მიყიდვა 548 ტონით, ძეხვისა — 20 ტონით.

სკკპ XXVII ყრილობაზე გარკვევით ითქვა, რომ რეკონსტრუქცია, ფაბრიკის გადაიარაღება აღმავლობის ერთ-ერთი გზაა. უკანასკნელი წლების მანძილზე ფაბრიკაში დიდი სამუშაოები შესრულდა, კაპიტალურად შეკეთდა საქვაბეები, კომპესტორები, საბრეწველო ზონაში სასმელი წყლის გარე ქსელი 5,5 კილომეტრზე შეიცვალა, აღსდგა და მოდერნიზებულია 27 საფრინველე და სხვა.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და მოსაგვარებელი. მთლიანად უნდა გარდაიქმნას სადიდე-სარემონტო ზონა. შეიძლება ითქვას, ეს ფაბრიკის ამოსავალი წერტილია. დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამიმქედდა სანატარული უბნები, წესრიგშია მოყვანილი გასახლელები. მოწესრიგდა დასახლების წყალსადენი და თბოქსელი. მოსაწესრიგებელია გზები და მოედნები. ასაშენებელი გვაქვს 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ბევრი რამ გაკეთდა დისციპლინის გაუმჯობესებისათვის. დადებითი გავლენა იქონია კოლექტივთან საქართველოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის წევრების შეხვედრამ.

წარმოების კულტურის ამაღლებაში, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ზრდასა და დისციპლინის განმტკიცებაში დიდად გვეხმარება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების საიჯარო ბრიგადული ანაზღაურების დანერგვა.

დღეს ჩვენს კოლექტივს განსაკუთრებით სჭირდება სიახლეების ძიება, შემართება და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვა. პარტიის დღევანდელი მოთხოვნების საფუძველზე აუცილებლად აღმოვფხვრით დრომოჭმულ ჩვევებს მეურნეობრივ საქმიანობაში, წარმოებაში დავნერგავთ მოწინავეთა გამოცდილებებს, უახლეს ტექნიკას და ტექნოლოგიას, რის შედეგადაც

# ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ

ნახავთ როგორც საკავშირო და რესპუბლიკურ, ისე დარგისა და ქალაქის საწარმოთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მოპოვებულ წითელ დროშებს, დიპლომებს, სიგელებს. საკავშირო დროშა რომ ვახსენეთ, სტატუსმ მოიტანა და, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ეს უმაღლესი ჯილდო ქუთაისელ მესერვისელებს 1983 წლის მაჩვენებლებისათვისაც ჰქონდათ მიღებული.

რით დაიმსახურა კოლექტივმა ასეთი დიდი შეფასება?

მეთორმეტე ხუთწლედში მომსახურების მოცულობის გეგმა საწარმომ შეასრულა 106,1 პროცენტით და მოსახლეობას 3,068.000 მანეთის მომსახურება გაუწია. იმ დროს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად მომსახურების მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება გეგმით დასახულ ამოცანას, ქუთაისის „რემყოფტექნიკამ“ 107,8 პროცენტით შეასრულა იგი, ესე იგი 1.258 ათასი მანეთის მომსახურება გაუწია სოფლის მშრომელებს. დიდი გადაკარბებით შესრულდა აგრეთვე საქონელბრუნვისა და მოგების გეგმები. გონივრული მუშაობით აქ სამაგალითო ეკონომიკური მონაცემები მოიპოვეს. მაგალითად, ერთი მანეთის დანახარჯზე მიღწეულია 10,2 კაპიკი ეკონომია, საშუალო ხელფასი თითო მომუშავეზე შეადგენს 195 მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 166 მანეთისა. ყოველივე ამას აქ იმით მიაღწიეს, რომ კარგად ისწავლეს სამეურნეო ანგარიშიანობა, მუშაობაში დანერგეს ჩვენი ქვეყნის მონათესავე საწარმოთა მდიდარი გამოცდილებანი.

ადრე აქ რადიოტელეტექმომსახურების დირექცია იყო, რომელსაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი ქარხანა შეუერთდა და დაერქვა ქუთაისის ქარხანა „რემყოფტექნიკა“. რადიოტელეტექმომსახურების დირექცია ადრეც მოწინავე იყო, ხოლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი ქარხანა ვერ მუშაობდა გულმოდგინედ — აქ მცირე იყო მუშათა გამომუშავება, სისტემატურად არ სრულდებოდა საქონელბრუნვის გეგმები, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. ცხადია, ამ და სხვა უთაურობის გამო დაბალი იყო მოსახლეობის მომსახურების დონე და კულტურა.

რეორგანიზაციის შემდეგ ყველა ეს ნაკლი და ხარვეზი თითქმის გამოსწორებულია.

...თავმჯდომარე: ვინ არის მომხრე, რომ მავანს ჩამოერთვას საკუთარი ავტომანქანა „ეიგული“ და გადაეცეს იგი ჩვენი კოლექტივის სხვა წევრს, გთხოვთ ასწიოთ ხელი!...

ყველა სწევს ხელს, წინააღმდეგი არავინ არის.

დაადგინეს: მავანს ჩამოერთვას საკუთარი ავტომანქანა...

ახლა ამ ხელოსნის ნაქონი მანქანით სარგებლობს სხვა ხელოსანი, რომელსაც იგი ასევე მუშამოსამსახურეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მიეცა.

რა შუაშია აქ საერთო კრება ან ის დიალოგი რისთვის მოვიყვანეთ? — იკითხავს კაცი.

ეს ექსპერიმენტი გახლავთ. ქუთაისელმა მესერვისეებმა ექსპერიმენტის სახით შემოიღეს საკუთარი ავტომანქანებით მომსახურების პრაქტიკა, რამაც ნაყოფი გამოიღო.

აი, როგორ არის საქმე: ზემდგომი ორგანოები გამოყოფენ ხოლმე მსუბუქ ავტომანქანებს იმ მუშებისათვის ურიგოდ შესაძენად

ეროვნული ბიბლიოთეკა
ისტორია
ფაქტები • მოვლენები
ინტერვიუ

ინტერვიუ

# პასუხი, რომელიც იმედს გვისახავს

**ამბობს „სიცოცხლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ ფუძემდებელი მ. მარუა**

**პარიზი. დიდი კმაყოფილებით აღვიქვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი ჩვენს წერილზე, თქვა საკავშირო კორეს-პონდენტთან საუბრისას პროფესორმა მ. მარუამ, ქვეყნად სიცოცხლის უზრუნველყოფისადმი მეცნიერების სამსახურისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ძალისხმევის გამაერთიანებელი „სიცოცხლის საერთაშორისო ინსტიტუტის“ უფროსმდებელმა და გენერალურმა დელეგატმა.**

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი მიმაჩნია ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად, აღნიშნა ფრანგმა მეცნიერმა. ესოდენ მაღალი რანგის, დიადი ქვეყნის ხელმძღვანელმა უდიდესი პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების კაცმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენი დროის უპირველესი ამოცანაა სიცოცხლის, და განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლის-უმაღლეს ღირებულებად გამოცხადება. ამასთან უბრალოდ კი არ დაადასტურა ეს ჭეშმარიტება, არამედ ჩამოაყალიბა ამ უზენაესი მიზნის მიღწევის კონკრეტული გზები და ღონისძიებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხაზი გაუსვა, რომ ჩვენს ბირთვულ-კოსმოსურ ერაში ამ საკითხმა შეიძინა ახალი განზომილება, ახალი წახნაგით წარმოჩნდა. მნიშვნელოვანია ისიც, როგორც პასუხშია აღნიშნული, რომ „ჩვენს დროში ღირს სიცოცხლე მიუძღვნა იმას, რომ იხსნა თვით სიცოცხლე დედამიწაზე, არა არის რა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზანი“.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხელმძღვანელის მეორე გამონათქვამსაც, აღნიშნა სიცოცხლის ინსტიტუტის ფუძემდებელმა, — „კაცობრიობას შეუძლია და კიდევაც უნდა შეეწყოს ბუნებას, მაგრამ ამისათვის იგი უნდა შეეწყოს საკუთარ თავს“. სავსებით სწორია მეორე შენიშვნაც ჩვენ მიერ წამოყენებულ „მეცნიერება სიცოცხლის სამსახურში“ — პროგრამასთან დაკავშირებით, რომ მასში ჩამოყალიბებული იდეის ნამდვილი გადაწყვეტა გულისხმობს როგორც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ისე მთელი კაცობრიობის ძალების გაერთიანებას.

ჩვენ, მეცნიერები, რომლებიც მთელ ჩვენს ცხოვრებას ეახმართ კვლევის პრობლემებს, ბუნების ახალ საიდუმლოებათა გამოცნობას, გვესმის რომ ამჟამად აღმოჩენათა გამოყენების საკითხი არა უბრალოდ მეცნიერული, არამედ პოლიტიკური, ეთიკური საკითხიცაა. მეცნიერებას შეუძლია და კიდეც უნდა ემსახუროს კაცობრიობის აყვავებას და არა მის განადგურებას. ჩვენი სიცოცხლის ინსტიტუტი, რომლის შტაბ-ბინა ჟენევაშია, მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა და ახლა გადაიქცა გავლენიან ორგანიზაციად, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 60 ქვეყნის 2.600-ზე მეტ მეცნიერს, მათ შორის 50-ზე მეტ ნობელის პრემიის ლაურეატს. ეს მოწმობს იმ ყურადღებას, სიცოცხლის შენარჩუნების პრობლემის გამო წუხილს, რომლის უმაღლესი ქმნილებაა ადამიანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პასუხი გვიჩერგავს იმედს, სიცოცხლის ინსტიტუტი ყველა მოსაწილეს აქტიური მოქმედებისათვის აღანთებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა საბჭოთა კავშირის, ჭეშმარიტად დიადი სახელმწიფოს მზადყოფნა განიხილოს წინადადებანი, რომლებიც შემუშავდება მომავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დროს, ჩვენი ინსტიტუტის ინიციატივით რომ მოეწყობა, ხაზი გაუსვა მ. მარუამ. ახალოგიური წერილი, დასძინა მან, გავუგზავნეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რ. რეიგანსაც, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიგვიღია.

---

**15 მარტს, საბჭოთა დელეგაციამ ... ... ...

# ერთხელ არჩეული გზის ერთგულება

**ლენინური** პრემიის ლაურეატის ნოდარ დუმბაძის სახელობის პიონერული ქალაქის „მზიურის“ სტუმართმოყვარე მასპინძლები გახდებიან მისი ნაწარმოების გმირები. შემოდგომაზე, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ზურიკელა, ბებია, ილიკო და ილარიონი შეხვდებიან აქ მომსვლელებს. ჯერჯერობით კი ისინი ამ სახეების შემქმნელის სკულპტურულ პორტრეტთან ერთად, რომელიც დაიდგმება „ქალაქის“ ცენტრალურ შესასვლელთან, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში არიან.

— უკვე ვამთავრებ მუშაობას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მოქანდაკემ. — — იგი ბევრს ნიშნავს ჩემთვის, და არა მარტო იმიტომ, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია, მისი ავტორი კი ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო წარმომადგენელი. ნოდარ დუმბაძესთან ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან ვ ე ვმეგობრობდი და მემორიალზე მუშაობის დროს მეუფლება გრძნობა, რომ კვლავ მასთან ვარ.

**— თუ ფიგურებით ვიმსჯელებთ, თქვენს ნაწარმოებზე გავლენა მოუხდენია ცნობილი წიგნის მიხედვით გადაღებულ კინოფილმსაც.**

—დიახ, ეს ასეა. ამ შესანიშნავ კინოფილმში მთავარი როლების შემსრულებლებმა ს. თაყაიშვილმა, ს. ჟორჟოლიანმა, გ. ტყაბლაძემ, ს. ორჯონიკიძემ შექმნეს ნათელი, დამაჯერებელი სახეები, რომლებიც მწერლის შემოქმედების მილიონობით თაყვანისმცემელთა გონებაში გაიგივებულია წიგნის გმირებთან. ჩემი ქანდაკებებისთვის უკეთეს მოდელებს ვერ ვიშოვიდი. ისევე, როგორც გურჯაანში დადგმული ჯარისკაცის მამის ძეგლისათვის ვერ ვიპოვიდი უკეთეს მოდელს, ვიდრე რეზო ჩხეიძის სახელგანთქმული ფილმის „ჯარისკაცის მამის“ პერსონაჟი და მისი შემსრულებელი სერგო ზაქარიაძე იყო.

**— კრიტიკას არაერთხელ აღუნიშნავს თქვენი შემოქმედების თემატური მრავალფეროვნება. მაგრამ, ალბათ, მთავარი თემაც გაქვთ?**

— სრულიად არ ვეთანხმები კრიტიკოსების ამ აზრს. პირიქით, ვფიქრობ, რომ უაღრესად ერთგული ვარ ჩემი ერთადერთი თემისა. „ბრალოდ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისი სხვადასხვა მხარე მაინტერესებს. თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის შენობასთან დადგმული მუზაც, მონუმენტიც „კიდევაც დაიზრდებიან“, სოჭში დადგმული კომპოზიციაც „მშვიდობა“, ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების გალერეაც ნაკარნახევია მისწრაფებით გამოვხატო ადამიანის სულის სიდიადე, ან, თუ გნებავთ, გმირობა, რომელიც ერთნაირად ვლინდება მხედრულ სამქმეებში, შრომაშიც და შემოქმედებაშიც.

ჩვენ შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ. დღეს ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების ოსტატებს თავიანთი ნიჭის სრული გამოვლენის შესაძლებლობა აქვთ. ეს პარტიის კულტურული პოლიტიკის შედეგია, პოლიტიკისა, რომლის თანამიმდევრულობა კიდევ ერთხელ დადასტურდა სკკპ XXVII ყრილობაზე. სწორედ პარტიისა და მთავრობის ყურადღებამ, ფართო საზოგადოებრიობის ინტერესმა სახვითი ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებისადმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა თანამედროვე ქართული ქანდაკების მიღწევები. დღეს რესპუბლიკაში შეიქმნა სანატერესო და თავისთავადი პლასტიკური სკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები მტკიცედ ადგანან სოციალისტური რეალიზმის, ეროვნული ტრადიციების პოზიციებს.

ჩვენი შრომისათვის ზრუნვის ატმოსფერო განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მხატვრებს იმისათვის, რომ ღირსი იყვნენ იმ დიდი მისიისა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ასრულებს მხატვარი. მუდმივი ძიება, ოსტატობის სრულყოფა, პატიოსნება შემოქმედებაში კულტურის მუშაკთა წინაშე დღეს დასახული ამოცანის — ცხოვრებისეული სიმართლის ამოცანის შესრულების საწინდარია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ყრილობისადმი ზუსტად იყო ნათქვამი, რომ „სიმართლე... კონკრეტულია, იგი უნდა ვეძიოთ ხალხის მიღწევებსა და საზოგადოების განვითარების წინააღმდეგობებში, შრომითი დღეების გმირობასა და სადგომში, გამარჯვებებსა და წარუმატებლობებში, ანუ თვით ცხოვრებაში, მთელი მისი მრავალმხრივობით, დრამატიზმითა და სიდიადით“.

**— ორიოდე სიტყვა გვითხარით, თუ შეიძლება, თქვენი გეგმების შესახებ.**

— ისინი დაკავშირებულია ჩვენი ხალხის წარსულთან. მელის მუშაობა დიდგორის ბრძოლის გმირების მემორიალსა და ვაჟა-ფშაველას მონუმენტზე. გარდა ამისა, კვლავ მელის შეხვედრა შოთა რუსთაველის უკვდავ სახესთან, რომლის ძეგლი დაიდგმება ქუთაისში. იგი ჩაფიქრებული არა მაქვს როგორც ჩემი წინა ნამუშევრის გამეორება, რომელიც დაახლოებით 20 წლის წინათ შევქმენი მოსკოვისათვის. რუსთაველი არა მარტო ქართველი ხალხის სიამაყე, არამედ მისი მსოფლმხედველობის, შეგნების, ტრადიციების გამომხატველიც არის. ამიტომ მისი სახელი უშრეტია, როგორც უშრეტია თვით ხალხის სული.

**ილებენ ფილმს**

## ეკრანზეა მიხეილ ლერმონტოვი

**კინოსტუდია „მოსფილმში“** მთავრდება გადაღება ორსერიანი მხატვრული ფილმისა „მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი“. სურათის დამდგმელი რეჟისორია ცნობილი საბჭოთა მსახიობი ნიკოლოზ ბურლიაევი, რომელიც თვითონვე ასრულებს პოეტის როლს.

კინოს გადაღებისას დიდი ადგილი დაეთმო საქართველოს. — სწორედ საქართველოში შექმნა მან ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორიც არის პოემები „მწერი“, „დემონი“, „ჩვენი დროის გმირის“ ზოგიერთი თავი, ლექსი „ხანჯალი“.

ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია სინამდვილესთან. საქართველოში ყოფნისას ლერმონტოვი შეხვდა ალექსანდრე გრიბოედოვის ქვრივს — ნინო ჭავჭავაძეს. ეს შეხვედრა იყო სამახსოვრო და შთამაგონებელი. ეს ეპიზოდი კინოშიც აისახა. ფილმში ნინო ჭავჭავაძის როლს ასახიერებს რუსთაველს სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი მარიკა ჭიჭინაძე. როლი ეპიზოდურია, მაგრამ მას დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის როლს იმედა კახიანი ასრულებს, მისი უმცროსი ქალიშვილის — ეკატერინესას კი ქეთევან ქობულია.

...ფილმი „მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი“ მალე გამოვა ეკრანებზე.

**ლ. მღებრიშვილი.**

**სურათზე:** კადრი ფილმიდან.

**დღევანდელი ნომრის სტუმარი**

# ისე აღზარდე შენ შვილის სული...

**მულტიკლიკატორის კორტრეტი, დაწერილი ბავშვებისათვის დიდების დაკვეთით**

**ბავშვებო,** მჯერა, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ქართული მულტიპლიკაციური ფილმები „ყურშა“, „გოგონა და ბატი“, „ნარცისი“, „სამი მეზობელი“ და, რაღა თქმა უნდა, მთელი სერიალი „ხელმარჯვე ოსტატისა“... რა ვუყოთ მერე, უმრავლესობამ, ალბათ, არც იცით, ვინ არის ამ მშვენიერი „მულტიკების“ დამდგმელი რეჟისორი. ჰოდა, თუ გაინტერესებთ, მაშინ, უნდა ცოტა ხნით ძიანებოთ თამაშს თავი და თქვენს უფროსებს მოუსმინოთ, რომლებიც ამ წერილით გაგაცნობენ ქართული მულტიპლიკაციური კინოს ამაგდარ კაცს ვახტანგ ბახტაძეს. სწორედ ძია ვახტანგია ზემოთ ჩამოთვლილი ფილმების (და კიდევ რამდენი კარგი ფილმის!) ავტორი.

დღევანდელ შეხვედრას ორი მიზეზი აქვს: ვახტანგ ბახტაძეს სულ ახლახან სამოცდაათი წელი შეესრულდა და, თანაც, რამდენიმე წერილი მივიღეთ, რომლებშიც მშობლები გვთხოვენ პატარებს მოვუთხროთ ამ პიროვნებაზე. კეთილი და საჭირო სურვილია, ამიტომ ვეცდები შეძლებისდაგვარად შევასრულო იგი.

* * *

**თქვენზე** ცოტათი უფროსებს ახსოვთ „მულტპანორამის“ ადრინდელ გადაცემებში ვახტანგ ბახტაძის გამოსვლები. მისი ძალზე სერიოზული, შუბლგაუხსნელი იერი, თითქოს შეუთავსებელიც კი იყო ამგვარი გადაცემებისთვის. მაგრამ როგორ სუბრობდა! რა სიყვარულით, რა ტაქტით მოუთხრობდა ცეროდენებს სამამულო თუ უცხოური მულტიპლიკაციური კინოს ისტორიაზე, მის დღევანდელ მიღწევებზე... და ამით უმალ უკავშირდებოდა ნორჩების სულიერ სამყაროს.

არანაკლებ საქმეს უძღვება ამჟამად რეჟისორი. ტრადიციად დამკვიდრდა: საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მულტფილმების სექცია თბილისის „კინოს სახლში“ ყოველ კვირას უჩვენებს პატარებს ახალ ქართულ, საბჭოთა თუ უცხოურ მულტფილმებს. წინასწარი ხანმოკლე ლექციისათვის ვახტანგ ბახტაძეზე უფრო სანდო პიროვნება ვინ უნდა შეერჩიათ ამ კარგი საქმის მესვეურებს? ისიც სიამოვნებით ხვდება ნორჩ მაყურებლებს, მათს მშობლებს, ახლობლებს და მარტო მშრალ ინფორმაციას როდი სჯერდება, დიდი ერუდიცია საშუალებას აძლევს ყოველსაორად შეაბადოს დარბაზში მყოფნი უჩვეულო სამყაროში სამოგზაურად.

* * *

**თქვენ** უნდა იცოდეთ, ბავშვებო, რომ ქართული კინემატოგრაფია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, თუმცა მულტიპლიკაციური კინო შედარებით ახალგაზრდაა — ოცდაათიანი წლებიდან იღებს სათავეს. მართალია, მულტიპლიკაციურ ეპიზოდებს ვხვდებით ჩვენს ზოგიერთ ადრეულ მხატვრულ ფილმებში, (მაგალითად, კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“), მაგრამ ეს მაინც



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

1986

**გაზაფხულია, გამოსულან მტკვარზე ნავებით...**

ა. საკაკოვის ფოტო.

# ქართველი მხატვრის ალჟირული ციკლი

**„ალჟირი** საბჭოთა მხატვრის თვალით“ — ასე უწოდა ალჟირში საბჭოთა კულტურის სახლში მოწყობილ თავის პერსონალურ გამოფენას ქართველმა მემოდელემ, ფერმწერმა და გრაფიკოსმა ვლადიმერ საკაკშვილმა.

უკვე მეოთხე წელია, რაც ვ. საკაკშვილი ხელმეკრულების თანახმად ხატავსა და კოსტიუმების კომპოზიციას ასწავლის ალჟირის საფეიერო ინსტიტუტში. გამოფენაზე მის მიერ წარმოდგენილი 60 ნაწარმოებიც ქვეყანაში მრავალრიცხოვანი მოგზაურობის, ალჟირელი ხალხის ცხოვრების, მისი ადათ-წესებისა და კულტურის, ამ ქვეყნის განუმეორებელი ბუნების

**ხელოვნებისა და მეგობრობის მარშრუტები**

ყოველდღიური დაკვირვების შედეგია.

„ვ. საკაკშვილის ნაწარმოებები კარგად გადმოსცემენ ალჟირის პეიზაჟისა და არქიტექტურის თავისებურებებს, ალჟირელთა ტრადიციებსა და ცხოვრების წესს. ნატიფი გემოვნებით შერჩეული კოლორიტი მის ნამუშევართა გამომსახველობითს ძალას და შინაგან დრამატიზმს განსაზღვრავს“, — ასეთი შეფასება მისცეს ექსპოზიციას ალჟირის „ჰორიზონტ 2000“ გაზეთის ფურცლებზე.

ვ. საკაკშვილის შემოქმედებას, რომელიც რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების კათედრას, კარგად იცნობენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი ჩვენს რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ. მხატვარს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ, ზონალურ, საკავშირო გამოფენებში, მის მიერ შესრულებულმა კოსტიუმების ესკიზებმა ხუთჯერ დაიმსახურა ოქროს მედლები მხატვარ-მემოდელეთა საერთაშორისო კონკურსებზე. (საქინფორმი).

# პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

**მოლაპარაკე**

**კომპიუტერები**

**სულ** მალე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან შესაძლებელი იქნება საუბარი. ერთი ამერიკული ფირმა ამუშავებს სისტემას, რომლის ლექსიკონშიც 5000 სიტყვა იქნება. გარდა ამისა, მას ექნება უნარი, შეეგუოს სხვადასხვა ადამიანის ხმათა თავისებურებებს. ახალმა სისტემამ უნდა შეცვალოს აქამდე არსებული სისტემა, რომელსაც უფრო პატარა ლექსიკონი და ხმათა ამოცნობის დიდი პერიოდი აქვს. ამჟამად ფირმები „Wang“ და „Xerox“ ამუშავებენ უფრო დიდ, 15 ათასი სიტყვისაგან შემდგარ ლექსიკონიან სისტემას.

**ინგლისური ფირმა** „Alvet“ ამერიკულ ფირმა „Plessei“-სთან ერთად ამუშავებს ხმის ფონეტიკურ დონეზე ამომცნობ სისტემას. იგი საგრძნობლად გაზრდის სისტემის ლექსიკონს და შეამცირებს ხმათა ამოცნობის პერიოდს.

ზემოთჩამოთვლილი სისტემები დიდ გამოყენებას ჰპოვებენ არა მარტო კომპიუტერულ საქმიანობაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

**ვიდეოკონფერენციები**

**უკანასკნელ** დროს სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს კონფერენციების ჩატარების ახალი ფორმა — ვიდეოკონფერენცია, რომელიც, პერსონალური კომპიუტერისა და ქსელების წყალობით, შესაძლებლობას იძლევა სახლიდან ან სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ვიდეოკონფერენციაში.

დღეს უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქმნება ვიდეოკონფერენციების გადამცემი სტუდიები. ასე, მაგალითად, ჟენევაში შეიქმნა **შვეიცარიაში** პირველი ვიდეოკონფერენციების სტუდია, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს როგორც შვეიცარიის ქალაქებს შორის, ასევე მეზობელ ქვეყნებთან.

**იაპონურმა ფირმა „ფუჯიცუმ“** გადაწყვიტა შექმნას კავშირგაბმულობის ციფრული ხაზები ვიდეოკონფერენციებისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება კავშირგაბმულობის ინტეგრალურ ქსელზე და წამში 6 მილიონ ნიშანს გადასცემს.

**ამერიკულ ფირმას „ჰილტონ ჰოტელ კ.“** გადაწყვეტილი აქვს თავის სასტუმროებში მოაწყოს სტუდიები ვიდეოკონფერენციებისათვის. შარშან, წლის ბოლოსათვის ასეთი აპარატურით აღჭურვილი სასტუმროები შეერთებული შტატების უკვე 42 ქალაქში არსებობდა.

**ვიდეოფილმების ტელეფონით გადამცემი აპარატი**

**ფინეთის** ერთ-ერთ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევათა ცენტრში შეიქმნა (პირველი დასავლეთ ევროპაში) აპარატი, რომელიც ვიდეოფილმების ჩვეულებრივი ტელეფონით გადაცემის საშუალებას იძლევა.

ახალი მეთოდი უზრუნველყოფს 18 ათასი ფერის გადაცემას. პრაქტიკულად ეს შეესაბამება საყოფაცხოვრები ტელევიზორების ფერთა გამოსახვის შესაძლებლობებს.




ბ. დეისაძის ნახატი.

**ყაბალი**

# საფურნირო ორბიტა

**ჩოგბურთი.** მოსკოვში მიმდინარე დახურულ კორტებზე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში თბილისელი ლეილა მეზხის მეტოქე იყო ავდეევა. ქართველმა ჩოგბურთელმა აჯერადაც საუნ ხოდ იასპარეზა და ფინალში გავიდა — 6:7, 6:2, 6:4. მეორე ფინალისტია ბიკოვა, როშელმაც ნახევარფინალში დაამარცხა რიეიკოვა — 6:4, 6:2. ლეილა მეზხი ქალთა წყვილებს შორისაც კარგად ასპარეზობს. მან და თანამგზავრმა პოგორელოვამ მეოთხედფინალში დაამარცხეს ელისეენკო და ბიკოვა — 6:1, 1:6, 7:5, ნახევარფინალში კი სძლიეს ლიფანოვასა და რეგას — 6:1, 6:4. ფინალში მათი მეტოქეები იქნებიან ავდეევა და ზვერევა. ვაჟთა ერთეულებს ფინალში გავიდნენ ვოლკოვი და ლეონიუკი, ვაჟთა წყვილების ფინალში კი იასპარეზებენ თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე და კრონკო (თავდაპირველად მოუგეს ავდეევს და დემიდენკოს — 6:7, 6:2, 6:3, შემდეგ კი ჩერნეცკის და ჩერკასოვს — 7:6, 7:6). ვაჟთა წყვილების მეორე ნახევარფინალური შეხვედრა გვიან დამთავრდა.

**ფეხბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური დაიწყო კიევის „დინამოსა“ და „არარატის“ მატჩით. ეს შეხვედრა კიეველებმა მოიგეს ანგარიშით 2:0.

**ხაინტერესო** ექსპერიმენტის მოწყობა განიზრახეს უნგრეთისა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციებმა: ისინი შეთანხმდნენ, რომ მარტსა და აპრილში უნგრეთის ჩემპიონატის 4 მატჩზე მოიწვევენ პოლონელ არბიტრებს, პოლონეთის ჩემპიონატის 4 შეხვედრას კი უნგრელი მსაჯები მოემსახურებიან.

**წყალბურთი.** თბილისსა და ბაქოში დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი ეტაპი. გთავაზობთ შედეგებს: **თბილისი.** თბილისის „დინამო“-ლენინგრადის „ბალტიკა“ — 9:7, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-მოსკოვის „ტორპედო“ — 12:10, მოსკოვის „დინამო“-მოსკოვის „მოსკვიჩი“ — 11:4; **ბაქო.** კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო)-ალმა-ათის „დინამო“ — 7:7, კიევის „დინამო“-ხარკოვის „ლოკომოტივი“ — 3:6, ლვოვის „დინამო“-მოსკოვის უნივერსიტეტი — 7:6.

**კალათბურთი.** ლენინგრადში გაიმართა ვაჟთა გუნდებს შორის საკავშირო ჩემპიონატის სუპერფინალის დამატებითი მატჩი მესამე ადგილისათვის. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ეს დამატებითი და გადამწყვეტი შეხვედრა კიევის „სტროიტელთან“ წააგო ანგარიშით 72:73. ამრიგად, კიეველებმა 3 მატჩიდან 2 მოიგეს და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ.

**ფალტბოლი.** ალმა-ათაში გრძელდება „გაზაფხულის მერცხლებად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება. ასპარეზობის მეორე დღეს ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟთა შორის გამოვლინდნენ პრიზიორები. აქ უძლიერესი იყო მინსკელი ა. პორტნოვი (646,02 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ვორონეჟელი ნ. დროეინი (634,28), მესამეზე — ჩინელი სპორტსმენი ტუნ ჰუეი (633,42).

# გვიბრუნდება ზაფხულის დრო

**სსრ** კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სიხშირეთა სახელმწიფო კომისია გვაუწყებს, რომ კვირას, 30 მარტს, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნება ზაფხულის დრო.

ზაფხულის დრო დაგვიბრუნდება 30 მარტს 2 საათზე, რისთვისაც საათის ისარი ერთი საათით წინ უნდა გადავწიოთ.


რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.


## ეროვნული ტელეარხი

### თოლკოვი

**16 მარტი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიგმული ტანვარჯიში. 10.10 — „პოზიერია“. კინოჟურნალი. 12.00 — „დილის ფოსტა“. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — მხატვრული ფილმი „მასწავლებელი“. 16.45 — თურქეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. 17.15 — „ჩვენი სახლი“. ტელეჟურნალი. 18.00 — საერთაშორისო პანორამა. 18.30 — ამბანაგური შეხვედრა ფეხბურთში: უნგრეთი-ბრაზილია. 20.15 — საზღვარგარეთული ფილმის ეკრანი. „ორი გროში იმედი“. (იტალია) 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ფილმ-კონცერტი. 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა. 0.20 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — მხატვრული ტელეფილმი „რესპუბლიკის განძი“. 13.25 — „მშობლიურო ჩემო მიწავ“. მეორე სერია. 14.30 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 15.35 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 15.50 — ფილმ-კონცერტი. 16.30 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 17.00 — ფეხბურთი. „ზენიტი“-„დნეპრი“. მეორე ტაიმი. 17.45 — ბახი. მესა სი მინორი. 19.15 — აშკარა-დაუჯერებელი. 20.15 — ფეხბურთი „შახტიორი“-„სპარტაკი“. შესვენებისას (21.00) — „ძილი ნებისა, პატარებო“ 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ეკრანზეა კინოკომედია. „გახდით ჩემი ქმარი“.

**17 მარტი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.30 — „ბაგრი გაიმართება ყოველკვარ ამინდში“. პირველი და მეორე სერია. 15.30 — ჩვენი თანამედროვე. დოკუმენტური ფილმები. 16.30 — აგრომრეწვა მოქმედებს. 17.30 — პოეზია. ვ. ვინოკუროვი. 17.50 — ბავშვებს — მხეცების შესახებ. 18.20 — მუსიკალური ტელეფილმი. „ჯონ ფილდი“. 19.15 — დაჩქარება. ტელეგაადასახ ი ლ ი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.20 — მხატვრული ტელეფილმი „ბოშა“. პირველი სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — . დოკუმენტური ტელეფილმი. „საბჭოთა ხელოვნების ფურცლები. ლიტერატურა და თეატრი“. მეექვსე ფილმი. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — სპორტი კვირის მანძილზე.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.05 — „ორი პორტრეტი“. ტ ე ლ ე ფ ი ლ მ ი. 14.40 — მხატვრული ფილმი „პარიზის განთიადი“. 20.15 — მშობლიური მხარის მელოდიები. 20.30 — საერთაშორისო პანორამა. 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საათვალსაჩვენო ფილმის ეკრანი. „თქრის საწმისი“.

### ფიქრები

**16 მარტი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.). 11.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. სამეურნეო მექანიზმი, სიახლეები, პრობლემები. 11.30 — „კინოფიშა“. 12.00 — „დილის ფოსტა“. მუსიკალური გადაცემა (მ.). 12.30 — „საკვირაო გამოფენა“. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05— ხალხური სიმღერის კონცერტი. 13.20 — საკვირაო გამოფენა. 13.25 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო“. საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. ქართული დოკუმენტური ფილმი „მეორე შტურმი“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია „ვეფხტანიანის“ ნაწარმოები). 13.40 — სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში: თბილისის „დინამო“-სსკ ცსკა. 14.10 — მუსიკალური გადაცემა „ჩვენი სტუმრები“. 15.00 — „ვესტნიკი“. 15.30 — „საკვირაო გამოფენა“. 15.35 — „ხალხური შემოქმედება“. კონკურსის ლაურეატები. 16.20 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 16.55 — „საკვირაო გამოფენა“. 17.00 — „აქტუალური ეკრანი“ — ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია. 17.25 — „ჩვენი სოფელი“. გაზაფხულს — გამართული ტექნიკა. 17.55 — „საკვირაო გამოფენა“. 18.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 18.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: უნგრეთი-ბრაზილია (რეპორტაჟი უნგრეთიდან). შესვენების დროს „ზღაპრის გუდა“. 20.15 — მოამბე. 20.50 — „საკვირაო გამოფენა“. 20.55 — „მწერალი და ცხოვრება“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ფილმ-კონცერტი „წყაროსთან“. პრემიერა (მ.). 23.50 — საფეხბურთო მიმოხილვა. (მ.).

**17 მარტი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ციცინრის ზარები“. 11.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვეფხებური რუსული რომანსისა და პოეზიის საღამო“. 12.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარკპაიმი“. 12.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აღმოჩენა“ № 250“. 13.00 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.15 — წყალბურთი — სსრ კავშირის პირველობა: თბილისის „დინამო“-მოსკოვის „მოსკვიჩი“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.45 — სპორტული გადაცემა „მობურთალსა მოედანი“. 17.10 — „გავამდიდროთ ადამიანის სულიერი სამყარო. საქართველოს კინემატოგრაფისტთა VI ყრილობისათვის. სამეცნიერო პოპულარული ფილმი „მონოლოგი ტყის დასაცავად“. 17.30 „უკვდავება“ (პარიზის კომუნის 115 წლისთავის გამო). 18.00 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 18.30 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა, „სოციშეჯიბრება — ახალ საფეხურზე“. 19.20 — მოსწავლეთათვის — „ფურცლები დღიურიდან“ (მწერალ ანა ხახუტაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — მუსიკალური გადაცემა „ერეკლე ჯაბადარი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული პროგრამა.

**მეორე პროგრამა.** 16.35 — სატელევიზიო ფილმ-სპექტა კ ლ ი „მოხუცი“.

### ჩვენს ეკრანებზე

### თეატრი

**16 მარტი**

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), დონ კიხოტი (კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტების — სსრკ სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ტატიანა ტაიაკინასა და სსრკ სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ვალერი კოვტუნის გასტროლები); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ლურჯი ურჩხული (დღისით), ოგუანას ფაქი (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), მაია წყნეთელი (საღამოს. პრემიერა); თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომბლე (დღისით, მე-7 აბონ. მე-3 წარმ.), უკანასკნელი პატრიარქი (საღამოს პრემიერა); მინიატიურების სახელმწიფო — პიემანი ხეზე ანუ ბესარიონის თავგადასავალი; ფილარმონია — ებრაული კამერული მუსიკალური თეატრი (დიდ საკონცერტო დარბაზში).

### თეატრი

**16 მარტი**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ბალეტი „ბოშა“. 11.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 12.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 13.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 14.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 15.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 16.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 17.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 18.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 19.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 20.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 21.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 22.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 23.00 — „ბალეტი ბალეტზე“. 24.00 — „ბალეტი ბალეტზე“.


КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07308 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრდის ყითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ბ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16